ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. ვანი 19 02 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

მურად ახვლედიანი - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ავთანდილ ჭელიძე - გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

შოთა კორძაძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, წევრი.

აკაკი წერეთელი - გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, წევრი.

რუსუდან აბჟანდაძე - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

რამლეზი ოჩხიკიძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, აპარატის წევრი.

თამარ ადეიშვილი - სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი აპარატის წევრი-მდივანი.

დღის წესრიგი:

ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით ქ. ვანში ბარათაშვილის ქუჩაზე გარე განათების 14 სანათის მოწყობაზე, ქ. ვანში 26 მაისის ქუჩაზე 20 სანათის მოწყობაზე, საპრასიის თემში ამბულატორიის მშენებლობის საფუძვლის მოწყობაზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველ სართულზე ყოფილი სასადილოს ოთახების რემონტზე, ზეინდრის შემოსასვლელში ბილბორდის მოწყობაზე, მთისძირის შემოსასვლელში ბილბორდის მოწყობაზე, ქალაქში შემოსასვლელში წარწერის მოწყობაზე, თავისუფლების 82-84-ში დასასვენებელი პარკისა და მინი სპორტული მოედნის მოწყობაზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის (უ/ნ 1089 05.02.2014წ.) შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის ავთანდილ ჭელიძის გამოსვლა, რომელმაც კომისიას აცნობა, რომ საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში (2014 წლის 13 თებერვალი 17:00 სთ) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა სამმა პრეტენდეტმა :

1. შპს „არქსტუდია დადუ"
2. შპს „ამბაზი-3"
3. ი/მ „დოდო რიბაკოვი"

განიხილეს: კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტების გახსნის შედეგად აღმოჩნდა, რომ შპს „ამბაზი-3"-ის და ი/მ „დოდო რიბაკოვი"-ს მიერ საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო ერთ ეგზემპლარად, ნაცვლად ორი ეგზემპლარისა, როგორც ეს საკონკურსო განცხადებით იყო განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, არ მომხდარა აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვა. შპს „არქსტუდია დადუ"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ - მურად ახვლედიანმა.
კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ - ავთანდილ ჭელიძემ.
კომისიის წევრებმა: შოთა კორძაძემ, რუსუდან აბჟანდაძემ.

დაადგინეს:

1) წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (უ/ნ 1089 05.02.2014წ.) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „არქსტუდია დადუ".
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს, მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი - გამარჯვებული გამოვლენილია.
3) საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კომისიის თავმჯდომარე: მურად ახვლედიანი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ავთანდილ ჭელიძე

1. შოთა კორძაძე
2. აკაკი წერეთელი
3. რუსუდან აბჟანდაძე

აპარატის წევრები:

1. რამლეზ ოჩხიკიძე
2. თამარ ადეიშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ვანი 19 02 2014 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ კონკურსის საშუალებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 5 თებერვალს გამოცხადებული (განცხადება უ/ნ 1089) კონკურსის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: მურად ახვლედიანი

კომისიის წევრები:

1. ავთანდილ ჭელიძე
2. შოთა კორძაძე
3. აკაკი წერეთელი
4. რუსუდან აბჟანდაძე

საკონკურსო აპარატის წევრები:

1. თამარ ადეიშვილი
2. რამლეზ ოჩხიკიძე